დამტკიცებულია:
ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№03 ბრძანებით (დანართი 26)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი და პროფესიული განვითარების საქმიანობის შეფასების წესი – (შემდეგში - „წესი“) არეგულირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი და პროფესიული განვითარების საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 2. შეფასების მიზანი

ხელშეწყობა, ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით საქმიანობის მონიტორინგი; პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, მოტივაციის ზრდა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, რაც ასევე გამოიხატება წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

მუხლი 3. შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები

1. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა სტრუქტურული ერთეულების (სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტი) მხარდაჭერით, წინამდებარე წესში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

2. აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით (დანართი 3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი 4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის

ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ, დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, დანართი 6 - ლექტორების და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ).

ბ) სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი 1 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები - წლიური ანგარიშის ფორმა);
გ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი 2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში).

3. მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით (დანართი 3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ, დანართი 4 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ, დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, დანართი 6 - ლექტორების და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ).

ბ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით (დანართი 2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში);

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება

1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობა გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტის დანართი 1-ით (აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის წლიური ანგარიში) განსაზღვრულ აქტივობებს (თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულების მოცულობა დადგენილია ამავე დანართით).
2. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის წლიური ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება ფაკულტეტის დეკანს. სავალდებულოა აკადემიური პერსონალის მიერ წლიურ ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება დანართი 1-ის შესაბამისად.
3. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა, არააფილირებული პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა, არააფილირებული ასოცირებული პროფესორი -

მინიმუმ 25 ქულა, აფილირებული ასისტენტ - პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, არააფილირებული ასისტენ-პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა.
4. აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშს აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით აქტივობებს. კომისია შედეგებს საოქმო გადაწყვეტილების სახით, უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტის დანართი 2-ით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში) განსაზღვრულ აქტივობებს (თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი ქულების მოცულობა დადგენილია ამავე დანართით).
2. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება.
3. პროფესიული განვითარების საქმიანობის წლიური ანგარიში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება დეკანს. სავალდებულოა პერსონალის მიერ პროფესიული განვითარების ანგარიშში მითითებული საქმიანობის დადასტურება, დანართი 2-ის შესაბამისად.
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი პროფესიული განვითარების ანგარიშის განხილვა ხორციელდება რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადასტურებს პერსონალის მიერ შესრულებულ პროფესიული განვითარების აქტივობებს. კომისია განხილვის შედეგებს საოქმო გადაწყვეტილების სახით უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 6. აკადემიური საქმიანობის შეფასება

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით სხვადასხვა მხარის მიერ, კერძოდ:
ა) შეფასება დეკანის მიერ (დანართი 3 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ);
ბ) შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ (დანართი 4 - აკადემიური და

მოწვეული პეროსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ);
გ) შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ (დანართი 5 - აკადემიური და მოწვეული პეროსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელის მიერ.

დ) შეფასება სტუდენტის მიერ (დანართი №6 - ლექტორებისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ).
2. აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტის მე-7 დანართით, მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების სქემა კი - მე-8 დანართით.
3. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე დაგროვებული ქულების რაოდენობა აკადემიური პერსონალის წლიურ შეფასებაში ანგარიშდება შემდეგნაირად: მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების (ან დადგენილ მოთხოვნაზე მეტი ქულის დაგროვების) შემთხვევაში, პერსონალის საბოლოო წლიურ მაქსიმალურ შეფასებაში (5 ქულა) დადგენილი წილი (25%, ანუ 1.25 ქულა) ითვლება მაქსიმალურად, ხოლო დადგენილ მოთხოვნაზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, შეფასებას აკლდება დანაკლისი ქულის პროპორციულად (მაგ. აფილირებულ პროფესორს, რომელმაც დააგროვა სავალდებულო 50 ქულა და მეტი, წლიურ 5 ქულიან შეფასებაში ჩაეთვლება მაქსიმალური 1ქულა (მაქსიმალური საბოლოო წლიური შეფასების 20%), 40 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0,8 ქულა, 30 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.6 ქულა და ა.შ.).
4. პროფესიული განვითარების ანგარიშის საფუძველზე დაგროვებული ქულების რაოდენობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიურ შეფასებაში ანგარიშდება შემდეგნაირად: მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების (ან დადგენილ მოთხოვნაზე მეტი ქულის დაგროვების) შემთხვევაში, პერსონალის საბოლოო წლიურ მაქსიმალურ შეფასებაში (5 ქულა) დადგენილი წილი (20%, ანუ 1 ქულა) ითვლება მაქსიმალურად, ხოლო დადგენილ მოთხოვნაზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, შეფასებას აკლდება დანაკლისი ქულის პროპორციულად (მაგ. პერსონალს, რომელმაც დააგროვა სავალდებულო 25 ქულა და მეტი, წლიურ 5 ქულიან შეფასებაში ჩაეთვლება მაქსიმალური 1 ქულა (მაქსიმალური საბოლოო წლიური შეფასების 20 %), 20 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.8 ქულა, 15 ქულის დაგროვების შემთხვევაში - 0.6 ქულა და ა.შ.).
5. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის წლიური შეფასების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური შეფასების და აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ დაგროვებული ქულების რანჟირება.

მუხლი 3. შეფასების შედეგებზე რეაგირება

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური

მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 400 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 300 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 250 ლარის ოდენობით.

2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, ფაკულტეტზე საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო 1000 ლარის ოდენობით.

3. მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე ფაკულტეტზე საუკეთესო შედეგის მქონე მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო 650 ლარის ოდენობით.

4. ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია. ფინანსური ჯილდოს გაცემის დროს მხედველობაში არ მიიღება იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, რომელიც უნივერისტეტში უკავია იმავდროულად ადმინისტრაციული პოზიცია.

5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას და შეფასების შედეგების დამუშავებას, შეჯამებული შედეგების ფაკულტეტებისთვის და ინდივიდუალურად პერსონალისთვის გაცნობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს.

6. დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმის შევსება, სადაც ფიქსირდება გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა. რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს რექტორი.

7. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ

ერთეულებთან გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევის, მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით.
2. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები

წლიური ანგარიშის ფორმა

სახელი, გვარი	
აკადემიური თანამდებობა	
აფილირება	□ დიახ □არა
ჯამური ქულა (ივსება უნივერსიტეტის მიერ)	
2023-2024 სასწავლო წელი	
შევსების თარიღი	

	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები	აქტივობის შესაბამისი ქულა	თარიღი	აღწერა	პერსონალის მიერ დაგროვილი ქულა
	1. სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში მონაწილობა				
1.1	ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	10 ქულა			
1.2	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	15 ქულა			

	2. სამეცნიერო პუბლიკაცია				
2.1	ადგილობრივ რეცენზირებულ (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება	**15**			
2.2	საერთაშორისო რეცენზირებულ (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება	**25**			
2.3	სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - სტატია/ ან თავი წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში;	**15**			
	3. მონოგრაფიის მომზადება/ გამოქვეყნება				
3.1	სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე/ ან ორენოვანი რომლსაც აქვს ISSN ან ISBNკოდი;	**50 ქულა**			
3.2	სამეცნიერო მონოგრაფია ქართულ ენაზე, რომლსაც აქვს ISSN ან ISBNკოდი;	**40 ქულა**			
	4. კრებულების/სახელმძღვანელოების მომზადება გამოქვეყნება				
4.1.	სალექციო კურსი, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო	**30-40 ქულა**			
4.2.	სამეცნიერო შრომების კრებული	**30-40**			
4.3.	ქრესტომათია, ლექსიკონი, სანოტო კრებული, ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები	**30-40**			
4. 4	აუდიო-პუბლიკაცია	**30**			

	5. სამეცნიერო გრანტი				
5.1	დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო გრანტი პროექტის ხელმძღვანელობა/ პროექტში მონაწილობა	**40 ქულა/** **20 ქულა**			
5.2	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა/ პროექტში მონაწილობა	**40 ქულა/** **20 ქულა**			
5.3	საუნივერსიტეტო სამეცნიერო/ შემოქმედებითი საგრანტო პროექტის ავტორობა/ ხელმძღვანელობა/ მონაწილობა;	**30/30/15**			
5.4	სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-შემოქმედებით საგრანტო პროექტის ავტორობა/ ხელმძღვანელობა/ ან მონაწილეობა;	**30/30/15**			
	6. შემოქმედებითი აქტივობები				
6.1.	მონაწილეობა კონკურსებში, ფესტივალებში	**ერთი ღონისძიება 10 ქულა**			
6.2.	მონაწილობა კონცერტში/ სოლო კონცერტი	**ერთი ღონისძიება 10 ქულა/ 40 ქულა**			

6.3.	ჯილდოები, პრემიები, წოდებები, სტიპენდიები;	**30 ქულა**			
6.4.	საშემსრულებლო კოლექტივების ჩამოყალიბება, მათი ხელმძღვანელობა.	**40 ქულა**			
	კონკურსების/ ფესტივალების ორგანიზება/ ჟიურის წევრობა	**30 ქულა**			
	7. სხვა სახის სამეცნიერო-მეთოდური/შემოქმედებითი აქტივობები				
7.1.	რეცენზირებული/რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	**20 ქულა**			
	რეცენზირებული/რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა	**20 ქულა**			
	სამეცნიერო ნაშრომის, სანოტო კრებულის, აუდიო ალბომის რედაქტორობა	**20 ქულა**			
	სამეცნიერო ნაშრომის, სანოტო კრებულის, აუდიო ალბომის რეცენზენტობა	**15 ქულა**			
7.2.	საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომისა და შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელობა	**15 -20 ქულა**			
	საბაკალავრო / სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტობა	**10 ქულა**			

7.3.	ფოლკლორული ექსპედიციების ხელმძღვანელობა/მონაწილეობა.	**10 ქულა**			
	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტიოს წევრობა	**8 ქულა**			
	ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტიოს წევრობა	**5 ქულა**			
	საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	**5 ქულა**			
	ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	**5 ქულა**			
	სტუდენტური შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა (საკონცერტო გამოსვლისთვის/ ღვთისმსახურებისთვის გუნდის ხელმძღვანელობა: ნომრის მომზადება)	**10 ქულა**			
	სხვა სახის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა განხორციელებული სხვა აქტივობები[1]				

[1] ქულას ანიჭებს სპეციალური კომისია

დანართი 2

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური ანგარიში

წლიური ანგარიშის ფორმა

სახელი, გვარი	
სტატუსი	□ აკადემიური პერსონალი □ მოწვეული პერსონალი
ჯამური ქულა (ივსება უნივერსიტეტის მიერ)	
2023-2024 სასწავლო წელი	
შევსების თარიღი	

	პერსონალის აქტივობები პროფესიული განვითარების მიმართულებით	**აქტივობის შესაბამისი ქულა**	**თარიღი**	**აღწერა (დადასტურება შესაბამისი ბმულით, ან თანდართული დოკუმენტით)**	**პერსონალის მიერ დაგროვილი ქულა ივსება უნივერსიტეტის მიერ**
	ადგილობრივ ვორქშოპზე/ სემინარზე/ტრენინგზე დასწრება	**5 ქულა**			
	ადგილობრივი ვორქშოპის/ სემინარის/ტრენინგის ჩატარება	**15 ქულა**			

	საერთაშორისო ვორქშოპზე/ სემინარზე/ტრენინგზე დასწრება	**10 ქულა**			
	საერთაშორისო ვორქშოპის/ სემინარის/ტრენინგის ჩატარება	**20 ქულა**			
	საჯარო ლექციის/ თემატური შეხვედრის/დისკუსიების ჩატარება	**20 ქულა**			
	უნივერსიტეტის ვებ-გვერდისათვის სფეროსთან დაკავშირებული აქტუალური მასალების მომზადება	**15 ქულა**			
	სახელმძღვანელოს თარგმანი	**20 ქულა**			
	სტუდენტების მომზადება შემოქმედებითი ტიპის პროექტებისთვის	**15 ქულა**			
	სტატია არასამეცნიერო-კვლევით ჟურნალებსა და ინტერნეტ-გამოცემებში	**15 ქულა**			
	საერთაშორისო აკადემიური მობილობა	**20 ქულა**			
	პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული სხვა აქტივობები[1] (გთხოვთ აღწერეთ აქტივობის დეტალები)				

[1] ქულას ანიჭებს სპეციალური კომისია

დანართი 3

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)				
ფაკულტეტთან თანამშრომლობის შეფასება (შეხვედრებზე დასწრება, წერილებზე რეაგირება, საბჭოს სხდომებზე დასწრება და სხვა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება : -------- ქულა

დანართი 4

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)				
სასწავლო კურს(ებ)ის, სილაბუსის განახლებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
პროგრამის ხელმძღვანელთან სხვა ტიპის თანამშრომლობის შეფასება (შეხვედრებზე დასწრება, წერილებზე რეაგირება და სხვა)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5

ლექტორის საბოლოო შეფასება : -------- ქულა

დანართი 5

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

ლექტორის სახელი და გვარი: _____

ლექტორის სტატუსი:

□ მოწვეული პერსონალი □ აკადემიური პერსონალი

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა - ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა - ძალიან კმაყოფილი)				
ლექციების დროულად დაწყება / დასრულება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
ლექციების გაცდენის შემთხვევაში ადმინისტრაციის დროულად ინფორმირება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
შუალედური შეფასებების კომპონენტების ელექტრონულ ბაზაში/ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებთან დროულად ასახვა					

ლექტორის საბოლოო შეფასება : -------- ქულა

ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტის მიერ

ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტის მიერ

დანართი 6

1. გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ ფრაზებს სასწავლო კურსის შესახებ (1 - სრულიად არ ვეთანხმები; 5 - სრულიად ვეთანხმები).

	1	2	3	4	5
ლექცია/სამუშაო ჯგუფში მუშაობისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები სათანადოა და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას					
სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიიღწევას					
სასწავლო კურსის ფარგლებში ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ობიექტურია					
სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები სათანადოა და შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას					
ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა და შეფასების მეთოდები იძლევა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების გამოხატვის საშუალებას					
შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
დასკვნითი გამოცდისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია					
საგამოცდო საკითხები და მოთხოვნები შეესაბამება სასწავლო კურსის თემატიკას					

2. რამდენად გაამართლა თქვენი მოლოდინი სასწავლო კურსმა? შეაფასეთ სასწავლო კურსი ზოგადად (1 - ძალიან ცუდი; 5 - ძალიან კარგი).

◻ 1	◻ 1	◻ 1	◻ 1	◻ 1

3 გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს (1 - სრულიად არ ვეთანხმები; 5 - სრულიად ვეთანხმები).

	1	2	3	4	5
ლექტორი არ აცდენს ლექციას					
იმ შემთხვევაში თუ ლექტორი აცდენს ლექციას, ყოველთვის წინასწარ ვართ ინფორმირებული ამის შესახებ					
ლექტორი ყოველთვის ახდენს გაცდენილი ლექციის / სემინარის / პრაქტიკული მეცადინეობის აღდგენას					
ლექტორი არ აგვიანებს ლექციაზე					
ლექტორს აქვს საგნის ღრმა ცოდნა					
სასწავლო კურსის დასაწყისში, ლექტორმა გასაგებად გაგვაცნო სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა					
ლექტორი სწორად გეგმავს დროს ლექციის / სემინარის / პრაქტიკული მეცადინეობის განმავლობაში					
ლექციების / პრაქტიკული მეცადინეობების / სემინარების თემატიკა მიჰყვება სილაბუსში განსაზღვრულ თემატიკას					
ლექტორი იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს (პრეზენტაციები, დისკუსიები, შემთხვევის ანალიზი და სხვა)					
ლექტორი გასაგებად ხსნის ახალ მასალას / თემას					
ლექტორი ახერხებს სტუდენტების საგნით დაინტერესებას					
ლექტორი ახერხებს სტუდენტების აქტიურობის / ჩართულობის უზრუნველყოფას ლექციის მსვლელობისას					
ლექტორი დროულად ასახავდა შეფასებებს / ქულებს ელექტრონულ ბაზაში					
მოცემული დავალებები მეხმარება სწავლის პროცესში					
ლექტორი ცდილობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებას					
ლექტორი სტუდენტს აძლევს შესაბამის უკუკავშირს მიღწეული შედეგების შესახებ					
შესრულებულ დავალებებზე ლექტორის მოსაზრებები / განმარტებები სასარგებლოა					

ლექტორი სტუდენტებს აძლევს კითხვების დასმის შესაძლებლობას					
ლექტორი სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხობს გასაგებად					
მაქვს შესაძლებლობა მივიღო დამატებითი კონსულტაციები ლექტორისგან					
ლექტორი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გამოავლინონ თავიანთი ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები					
ლექტორი პატივისცემით ეპყრობა სტუდენტებს					

4. გთხოვთ, დაასახელოთ ლექტორის ძლიერი მხარე
5 . გთხოვთ, დაასახელოთ ლექტორის სუსტი მხარე

6. რამდენად დენად კმაყოფილი ხართ ლექტორით? შეაფასეთ ლექტორი ზოგადად (1 - ძალიან ცუდი; 5 - ძალიან კარგი).

◻ 1	◻ 1	◻ 1	◻ 1	◻ 1

7. გთხოვთ, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ლექტორთან დაკავშირებით. რას ურჩევდით ლექტორს სწავლების გაუმჯობესების კუთხით?

აკადემიური პერსონალის შეფასების ქულობრივი სქემა

შეფასების კომპონენტები	**სემესტრული შეფასება**	**წლიური შეფასება**
კომპონენტი I - შეფასება დეკანის მიერ	10 % (0.5 ქულა)	აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების 60 % (3 ქულა)
კომპონენტი II - შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ	20 % (1 ქულა)	
კომპონენტი III - შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ	20 % (1 ქულა)	
კომპონენტი IV - შეფასება სტუდენტების მიერ	50 % (2.5 ქულა)	
შეფასების კომპონენტი V - პროფესიული განვითარების შეფასება	–	20 % (1 ქულა)
შეფასების კომპონენტი VI - სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება	–	20% (1 ქულა)
	5 ქულა	5 ქულა

დანართი 8

მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა

შეფასების კომპონენტები	**სემესტრული შეფასება**	**წლიური შეფასება**
კომპონენტი I - შეფასება დეკანის მიერ	10 % (0.5 ქულა)	აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების 70 % (3,5 ქულა)
კომპონენტი II - შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ	20 % (1 ქულა)	
კომპონენტი III - შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ	20 % (1 ქულა)	
კომპონენტი IV - შეფასება სტუდენტების მიერ	50 % (2.5 ქულა)	
შეფასების კომპონენტი V - პროფესიული განვითარების შეფასება	–	30 % (1,5 ქულა)
	5 ქულა	5 ქულა